

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

დეკემბერი

2023



ელექტოენერჯიის ბაზრის მიმოხილვა



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორი:

ერეკლე შუბითიძე
უფროსი მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2023 წლის დეკემბერში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 4%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 16%-ით.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 3%-ით შემცირდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 18%-ით გაიზარდა.
- მოხმარებამ გამომუშავებას 53 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2023 წლის დეკემბრის თვის სრული წარმოების 5% და მოხმარების 4%-ია.
- დეკემბერში განხორციელდა 108.1 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- დეკემბერში განხორციელდა 0.01 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი.
- მთავარი საიმპორტო პარტნიორი რუსეთი იყო.
- მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო.
- იმპორტის ფასი 0.13 ცენტი, ან 0.34 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- ექსპორტის ფასი 6.7 ცენტი, ან 18 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2023 წლის დეკემბერში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ შენარჩუნდა და ინდექსის მნიშვნელობა 2,140 -ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2023 წლის დეკემბერში ინდექსის მნიშვნელობამ 2,284 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2023 წლის დეკემბერში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,166 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 4%-იან ზრდას წარმოადგენს (2022 წლის დეკემბერში სრული წარმოება 1,116 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავების ზრდამ (+87%) განაპირობა, მაშინ როცა თბოელექტროსადგურების (-45%) და ქარის (-16) სადგურების გამომუშავება შემცირდა.

თვიურ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 16%-ით გაიზარდა (2023 წლის ნოემბერში სრული წარმოება 1,003 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე ზრდა თბო (+4%) და ჰიდრო (+23%) სადგურების გამომუშავების ზრდამ გამოიწვია, მაშინ როცა ქარის ელექტროსადგურების (-1%) გამომუშავება შემცირდა.


ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,219 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (3%-ით ნაკლები 2022 წლის დეკემბერთან შედარებით და 18%-ით მეტი 2023 წლის ნოემბერთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2023 წლის დეკემბერში ენერჯის მოხმარებამ წარმოებას 53 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 5%-სა და სრული მოხმარების 4%-ს შეადგენდა (2022 წლის დეკემბერში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 145 მილიონი კილოვატსაათიანი დეფიციტი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების 13%-ს და სრული მოხმარების დაახლოებით 11%-ს გაუტოლდა).

დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2023 წლის დეკემბერში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 782 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 67%), თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოება 378 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 32.4%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება - 6 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.5%) (დიაგრამა 2).


დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 41.2% გამომუშავა (322 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 47.2% (369 მილიონი კილოვატსაათი) და 11.6% (90 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).


დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა გამომუშავა 176 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 46.5% და ჯამური გამომუშავების 15.1%), გარდაბანი 2-მა გამომუშავა 155 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 41.1% და ჯამური გამომუშავების 13.3%), მტკვარი თესმა გამომუშავა 36 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 9.5% და ჯამური გამომუშავების 3.1%), ხოლო აირტურბინამ გამომუშავა 11 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 2.9% და ჯამური გამომუშავების 0.9%), (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 42 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 14.7% და სრული წარმოების 3.6%). ენგურჰესმა 162 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯიის 50.3%-ს და სრული წარმოების 13.9%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2022 წლის დეკემბერთან შედარებით 4%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ესკო


ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (33% – 402 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (24% – 288 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (25% – 299 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (19% – 229 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა აფხაზეთისგან, თელასი/თელმიკოსგან და პირდაპირი მომხმარებლებისგან შემცირდა, შესაბამისად, 3%-ით, 2%-ით და 11%-ით, ხოლო ენერგო-პრო ჯორჯიასგან, შესაბამისად, 0.7%-ით გაიზარდა, 2022 წლის დეკემბერთან შედარებით. საერთო ჯამში, 2023 წლის დეკემბერში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 3%-ით ნაკლები შეადგინა 2022 წლის დეკემბრის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.

² 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები


გამიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიწოდებელი.

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2023 წლის დეკემბერში საქართველოში 108.1 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა (2022 წლის დეკემბერში 217.6 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 9). იმპორტის 100% შემოვიდა რუსეთიდან (2022 წლის დეკემბერში იმპორტის 100% რუსეთიდან შემოვიდა). 2023 წლის დეკემბერში საქართველოდან განხორციელდა 0.01 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი რუსეთში (2022 წლის დეკემბერში განხორციელდა 0.033 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი რუსეთში და 0.017 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი აზერბაიჯანში) (დიაგრამა 10). 2023 წლის დეკემბერში 486 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთში (2022 წლის დეკემბერში განხორციელდა 446 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და 71 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი სომხეთიდან თურქეთში).


2023 წლის დეკემბერში იმპორტი შემცირდა 50%-ით 2022 წლის დეკემბერთან შედარებით, ხოლო ექსპორტი შემცირდა 80%-ით.

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


2023 წლის დეკემბერში იმპორტი გაიზარდა 34%-ით 2023 წლის ნოემბერთან შედარებით (დიაგრამა 11). 2023 წლის დეკემბერში ექსპორტი შემცირდა 94%-ით თვიურ ჭრილში (დიაგრამა 12).

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

1. საბაზრო ოპერაციები

2022 წლის დეკემბერში, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 78% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 22% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13). სამწუხაროდ 2023 წლის დეკემბრის მონაცემები არ იყო ხელმისაწვდომი.


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2023 წლის დეკემბერში, საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 14.7 თეთრი კილოვატსაათზე, რაც 1.2%-იან წლიურ ზრდას შეესაბამება 2022 წლის დეკემბერთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 12 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2022 წლის დეკემბრის მონაცემის 6.9%-იან კლებას შეესაბამება (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2023 წლის დეკემბერში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით, 11.48 მილიონი ლარი იყო, რაც 2022 წლის დეკემბრის მონაცემზე 175%-ით მეტია (დიაგრამა 15).


დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2023 წლის დეკემბერში, იმპორტის ფასები 0.13 ცენტი, ან 0.34 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 18%-იან, ხოლო ლარში - 18%-იან ზრდას (2022 წლის დეკემბერში ფასები 0.11 ცენტი, ან 0.28 თეთრი იყო კილოვატსათზე). 2023 წლის ნოემბერში, იმპორტის ფასები 0.14 ცენტი, ან 0.37 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 9%-იან, ხოლო ლარში - 10%-იან თვიურ კლებას. 2023 წლის დეკემბერში, ექსპორტის ფასები 6.70 ცენტი, ან 18 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 204%-იან, ხოლო ლარში - 204%-იან ზრდას (2022 წლის დეკემბერში ფასები 2.2 ცენტი, ან 5.92 თეთრი იყო კილოვატსათზე). 2023 წლის ნოემბერში, იმპორტის ფასები 6.50 ცენტი, ან 17.60 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 3%-იან, ხოლო ლარში - 2%-იან თვიურ ზრდას.

დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




წყარო: ესკო

■ იმპორტის შეწონილი ფასი ■ ექსპორტის შეწონილი ფასი

2023 წლის დეკემბერში, რუსეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 0.13 ცენტს, ან 0.34 თეთრს შეადგენდა კილოვატსათზე (დიაგრამა 17).


დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო/საქსტატი

2023 წლის დეკემბერში, ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი 6.70 ცენტს ან 18 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო/საქსტატი

2. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2023 წლის დეკემბერში, საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ შენარჩუნდა და HHI ინდექსი 2,140 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2022 წლის დეკემბრის მონაცემზე (HHI 2,462 ერთეული) დაბალი და 2023 წლის ნოემბრის მაჩვენებელზე (HHI 2,129 ერთეული) მეტია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2023 წლის დეკემბერში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,284 ერთეულს გაუტოლდა (2022 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე (2,188) მაღალი და 2023 წლის ნოემბრის მაჩვენებელზე (2,280) მაღალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება (დიაგრამა 20).

დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო